პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი № 163 (12371) | პარასკევი, 13 ივლისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის



განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე

მოსკოვი, 11 ივლისი. (სატელეფონო). საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის პირველი კომისია: „განიარაღება და მისი პოლიტიკური და ტექნიკური პრობლემები“.

კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია პროფესორი პიერ ბიკარი (საფრანგეთი).

საერთო დისკუსიაში გამოვიდა პროფესორი ჯ. ბ. მორეი (ამერიკის შეერთებული შტატები). მან განმარტა თავისი თვალსაზრისი განიარაღების პრობლემის ევოლუციის შესახებ მის მიერ დაწერილი წიგნის „იალტიდან განიარაღებისაკენ“ საფუძველზე.

ამერიკელი დელეგატის აზრით, „არ შეიძლება ატომური იარაღის დატოვება ცალკეული ერების ხელში“.

ორატორმა განაცხადა, რომ არ არის სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რაც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

პროფესორ მორეის მიაჩნია, რომ კომისიამ უნდა განიხილოს, „რამდენად გულწრფელად სურთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობებს სრული განიარაღება“.

ფაქტორი ნომერი ერთი, რომელიც ხელს უშლის განიარაღების პრობლემის გადაჭრას და ქმნის დაძაბულ ვითარებას ევროპის ცენტრში, დოქტორმა ლორენც კნორმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) უწოდა ბონის წრეების რევანშისტულ პოლიტიკას.

დასავლეთი გერმანია სისტემატურად ემზადება ომისთვის, თქვა მან. ბონი მუდამ უშლის ხელს ყველა მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი შრედერი ჟენევაში წავიდა არა იმისათვის, რომ ახალი წინადადება შეიტანოს იქ გერმანიის საკითხზე, არა იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს განიარაღებას. იგი წავიდა ჟენევაში იმ მიზნით, რომ აიძულოს თავისი მოკავშირეები გაჰყვნენ „ცივი ომის“ კურსს და ხელი შეუშალოს დადებითი შედეგების მიღწევას ჟენევაში.

ლორენც კნორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანელ ხალხს აქვს იმის უფლება, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება. ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა, თქვა მან, უნდა ცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

დასავლეთი ბერლინი — „ცივი ომის“ ეს საფრთხო ქალაქი, განაკრძალ დოქტორმა კნორმა, უნდა გახდეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთგაგების ხიდი.

იაპონის წარმომადგენელმა პროფესორმა კაორუ იასუიმ იმედი გამოთქვა, რომ დისკუსია კომისიის ფარგლებში კონსტრუქციულ მიმართულებას მიიღებს.

ჩვენ უნდა განვიხილოთ, თქვა მან, რა გზით შეგვიძლია მივაღწიოთ განიარაღებას. საჭიროა განვიხილოთ, როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან ეფექტიანად ატომური იარაღის შემდგომი გამოცდა.

კონგრესის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტ-ალმასრულებელმა ჯონ ბერნალმა შეიტანა წინადადება კომისიის შემდგომი მუშაობა წარმოებდეს ოთხ ქვეკომისიაში, რომლებმაც უნდა განიხილონ განიარაღების ტექნიკური ასპექტები, განიარაღების პოლიტიკური ასპექტები, სამხედრო ბაზების, უშიშროების, სამხედრო კავშირების, ინსპექციისა და ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონების საკითხები.

ფინეთის სეიმის დეპუტატმა აგრარული პარტიისაგან ვეიკო სვინხუვუმ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენ, როგორც ჩრდილოეთის ქვეყნის წარმომადგენელს, უწმინარეს ყოვლისა აინტერესებს ბალტიის ზღვის საკითხები. ატომო ზონების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩრდილოეთ ევროპისათვის, კერძოდ სკანდინავიის ქვეყნებისათვის, არამედ აგრეთვე იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ბალტიის ზღვის სამხრეთით მდებარეობენ.

ამასთან ორატორმა აღნიშნა, რომ ერთერთი ყველაზე მთავარი საკითხია გერმანიის პრობლემის გადაჭრა.

ბ-ნი სვინხუვუდი შეეხო ფინეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობას და განაცხადა: „ჩვენ პირადი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ შესაძლებელია სხვადასხვა სისტემის ორი სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობა. ჩვენი გამოცდილების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი თანაარსებობა კარგი და ცხოველუნარიანია“.

გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ი. ა. გაგარინის გამოსვლას.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში კონგრესზე ძალიან ღრმად და ძალიან ფართოდ გააშუქა განიარაღებისა და მშვიდობის საკითხები. მე სავსებით, სულით და გულით ვუჭერ მხარს იმას, რაც აქ თქვა ჩვენი მთავრობის მეთაურმა, ამბობს გაგარინი.

გული გეკუმშება, როცა წარმოიდგენ, რომ ჩვენი დედამიწა შეიძლება გახდეს თერმოატომური ომის ასპარეზი, თქვა შემდეგ საბჭოთა კოსმონავტმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოკეანესგაღმელი პოლიტიკოსები და გენერლები არ სჯიდებიან ატმოსფეროში გამოცდებს. ისინი აფეთქებენ მეგატონურ ბომბებს ატმოსფეროს ზედა ფენებში. ეს აძნელებს კოსმონავტების ფრენის პირობებს.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოღაწეები დიეგოსიას დიეგოსიაზე ახორციელებენ კოსმოსში. მან მოაგონა დამაწერეთ, რომ ამერიკის წყალბადის ბომბის „მამამ“ ედვარდ ტელერმა ამის წინათ საგანგებით სერიოზულად წამოაყენა წინადადება შეიქმნას სამხედრო ბაზა მთვარეზე. გაგარინმა ამ წინადადებას უწოდა „ავანტიურიზმი კოსმოსური მასშტაბით“.

საბჭოთა კავშირი — კოსმოსის ათვისების პიონერი — უჩვენებს იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება კოსმოსი ემსახუროს მშვიდობას, თქვა ი. ა. გაგარინმა და ამასთან შენიშნა: „მაგრამ ჩვენ გვაქვს ყველა საჭირო საშუალება აგრეთვე იმათი გამოფხიზლებისათვის, ვინც კოსმოსს უცქერის როგორც სამხედრო პლაცდარმს“.

საბჭოთა კოსმონავტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობას ერთერთ მთავარ პრობლემად განიარაღების დარგში მიაჩნია ატომური იარაღის მიტანის საშუალებების, მათ შორის სამხედრო რაკეტების მოსპობის საკითხი.

გაგარინმა ილაპარაკა თავის მოგზაურობაზე სხვადასხვა ქვეყანაში და აღნიშნა, რომ მისალმების შემდეგ ყოველთვის წარმოთქვამდნენ ლოზუნგს: „გაუმარჯოს მშვიდობას!“. სამწუხაროდ, თქვა მან, მარტო ლოზუნგებით და იმ უბედურების შეგნებით, რომელიც კაცობრიობისათვის მოაქვს ომს, ჯერ კიდევ ვერ მივაღწევთ მტკიცე მშვიდობას ხალხთა შორის, ვერ მოვუღებთ ბოლოს ხელოვნურად გამალებულ შეიარაღებას.

18 სახელმწიფოს ჟენევის კომიტეტში შეტანილი საბჭოთა წინადადებანი, განაცხადა ნორვეგიის წარმომადგენელმა კარლ ბონვეიმ, ახალ პერსპექტივებს გვისახავენ საყოველთაო განიარაღების პრობლემის გადაჭრაში.

მან აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ამ წინადადებათა ყველაზე შთამაგონებელი მომენტია სსრ კავშირის მთავრობის ნათლად გამოთქმული მზადყოფნა დათანხმდეს კონტროლის ყოველ პირობაზე იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი მიიღებს საყოველთაო და სრული განიარაღების საბჭოთა პროგრამას.

ორატორმა იმედი გამოთქვა, რომ ეს წარმომადგენლობითი კონგრესი ქმედით წვლილს შეიტანს საყოველთაო განიარაღებისათვის შეტევის გაშლაში.

პიერ კოტმა (საფრანგეთი) წინადადება შეიტანა, რომ კომისიამ შეუპირისპიროს ერთმეორეს განიარაღების ხელშეკრულების ორი პროექტი — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის პროექტები, მთავარი ყურადღება დაუთმოს ატომური იარაღის გამოცდების, უატომო ზონების (რაპაცკის გეგმა), დასავლეთ ბერლინის საკითხებს. მან აგრეთვე გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა განხილულ იქნას ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების პრობლემა.

საპროცედურო საკითხების გაცხოველებული განხილვის შედეგად კომისიამ გადაწყვიტა შექმნას ოთხი ქვეკომისია: უატომო ზონები და კონტროლის ზონები;

ატომური იარაღის გამოცდები და თანამშრომლობა კოსმოსში;

უშიშროების საკითხები (ბერლინი, ლაოსი, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და სხვ.);

განიარაღების პოლიტიკური და ტექნიკური ასპექტები.

11 ივლისს დილიდან ამ ქვეკომისიებში დაიწყო საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემების განხილვა.

დისკუსია ქვეკომისიაში „უატომო ზონები და კონტროლის ზონები“ გახსნა ბულგარეთის დელეგატმა აკადემიკოსმა საბა განოვსკიმ, რომელმაც დამსწრეთ მოაგონა მსოფლიოს უატომო ზონად ბალკანეთის გადაქცევისათვის ბრძოლის ისტორია.

მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო აქ, თქვა მან, რომ ამჟამად ყველა შესაძლებლობაა იმისათვის, რომ სამუდამოდ აღვკვეთოთ ომის ატეხის საფრთხე ბალკანეთში, რომელიც ტრადიციულად ითვლებოდა ევროპის დენთის საწყობად. ამისათვის საჭიროა ერთი რამ: საბერძნეთისა და თურქეთის მთავრობების თანხმობა — მიიღონ სოციალისტური ქვეყნების წინადადებანი თანამშრომლობის, მშვიდობის, მეგობრობის შესახებ.

საბა განოვსკის აზრს სავსებით დაეთანხმნენ რუმინეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები. თავიანთ გამოსვლებში ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ დედამიწის ცალკეულ რაიონებში დაძაბულობის კერების ლიკვიდაცია რადიკალური საშუალებაა საყოველთაო მშვიდობისა და განიარაღების მიღწევისათვის.

მთელი რიგი ქვეყნების დელეგატებმა მთავარი ყურადღება დაუთმეს გერმანიის პრობლემას, რომელიც უშუალო საფრთხეს უქმნის არა მარტო ევროპის ქვეყნებს, არამედ აგრეთვე მთელ მსოფლიოს. ამ ორატორებმა თავიანთ გამოსვლებში მაღალი შეფასება მისცეს პოლონეთის გეგმას ცენტრალურ ევროპაში უატომო ზონის შექმნის შესახებ, რომელშიც შედიოდნენ ორივე გერმანული სახელმწიფო, ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი. ჩვენს წინაშე დიდი სიძნელეებია, განაცხადა პოლონეთის წარმომადგენელმა პროფესორმა სტანისლავ სტომამ. მაგრამ ჩვენ ისევ ოპტიმისტები ვართ, რადგან მიგვაჩნია, რომ ცენტრალური ევროპის დეზატომიზაცია ობიექტური აუცილებლობაა.

ავსტრალიის, იაპონიის, ავსტრიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა ილაპარაკეს თავიანთი ხალხების ბრძოლაზე ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ.

ავსტრალიის წარმომადგენელმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა უილიამ მოროუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხალხები მუდმივ ზეგავლენას უნდა იხდიდნენ თავიანთი ქვეყნების მთავრობებზე, რათა აიძულონ ისინი დაიდგნენ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზას.

ქვეკომისიაში „ატომური გამოცდები და თანამშრომლობა კოსმოსში“ ერთსულოვნად გამოთქვამდნენ აზრს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდები.

იაპონიის, მალის, ინდოეთის წარმომადგენლებმა დაგმეს ატომური იარაღის აფეთქებანი დიდ სიმაღლეზე, რომლებსაც ამერიკის. შეერთებული შტატები ახორციელებენ.

იაპონიის დელეგაციის წევრმა ხიროტამ, რომელიც თავის ქვეყანაში ატომური იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური მონაწილეა, გამოაქვეყნა პეტიცია, სადაც ხაზგასმულია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტონ ატომური იარაღის გამოცდები. მან მოუწოდა კონგრესის მონაწილეებს შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტისათვის. ამერიკის ატომური აფეთქებანი რომელიც რაიმე მიზეზით დაეშვნენ არა თავიანთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მან მოუწოდა კონგრესს სერიოზულ ყურადღება დაუთმოს ამას და მმართოს სხვადასხვა სახელმწიფოთა მთავრობებს წინადადებით, რათა მათ გაითვალისწინონ ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა ადამიანებისათვის, რომლებიც დაბრუნდნენ კოსმოსიდან, სადაც აწარმოებდნენ მნიშვნელოვან მეცნიერულ დაკვირვებას.

კომისიაში „განიარაღების ეკონომიური შედეგები“

მოსკოვი, 11 ივლისი. (საკადესი). ამ კომისიის თავმჯდომარედ, რომელიც განხილავს შეიარაღების ეკონომიურ ასპექტებს, არჩეულია ცნობილი ექსპერტი ოსკარ ლანგე (პოლონეთი).

ამ კომისიის სხდომები მიმდინარეობს კინემატოგრაფისტთა კავშირის სახლში.

დისკუსია გაიხსნა საბჭოთა ეკონომისტის პროფესორ ვ. ი. რუბინშტეინის გამოსვლით. მან „ფაქტების ბოროტგანზრახული დამახინჯება“ უწოდა პანიკურ განცხადებებს იმის შესახებ, რომ განიარაღებას თითქოს უბედურება მოაქვს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიისათვის. თავისი თვალსაზრისის დასადასტურებლად ორატორმა დაიმოწმა დაწვრილებითი ეკონომიური ანალიზი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეესპერტებმა გააკეთეს.

რა თქმა უნდა, თქვა პროფესორმა რუბინშტეინმა, სამხედრო წარმოებათა გადაყვანა მშვიდობიან რელსებზე დროსა და მოსაბეზადებელ ღონისძიებებს მოითხოვს. მაგრამ ასეთ ღონისძიებათა შესაძლებლობასა და ეფექტიანობას ადასტურებს ის, რომ მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განხორციელდა უდიდესი მასშტაბის რეკონვერსია სამხედრო წარმოებებისა.

მეორე მხრივ, განაცხადა მ. ი. რუბინშტეინმა, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯებმა, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში არაჩვეულებრივად გაიზარდა, ვერ იხსნა ეს ქვეყანა ჭარბი წარმოების არაერთი კრიზისისა და ქრონიკული უმუშევრობისაგან, რომელიც წლითიწლობით იზრდება.

მეცნიერი იმოწმებს ამერიკელი ეკონომისტების გაანგარიშებებს და ამტკიცებს, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და მშვიდობიანი დარგების განვითარება საესებით აანაზღაურებს სამხედრო საწარმოებში სამუშაოს დაკარგვას და გამოიწვევს დასაქმებულთა რიცხვის ზრდას. სამხედრო ხარჯების შემცირება შესაძლებელს გახდის მკვეთრად შემცირდეს გადასახადების ტვირთი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაფართოვდება მყიდველობითი უნარი, არსებითად გაიზრდება მოთხოვნილება მშვიდობიან პროდუქციაზე. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდას, წარმოების გაფართოებას, საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარებას.

გამალებული შეიარაღების ლიკვიდაცია შესაძლებელს გახდის გაფართოვდეს სახელმწიფოებრივი და მუნიციპალური ხარჯები სხვადასხვა სოციალური საჭიროებებისათვის, როგორიც არის განმრთელობის დაცვა, სახალხო განათლება, სოციალური უზრუნველყოფა, აგრეთვე საბინაო მშენებლობა, განაგრძო საბჭოთა მეცნიერმა. იმ სახსრების თუნდაც ხუთი პროცენტის გამოყენება საბინაო მშენებლობისათვის, რომლებიც ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო საჭიროებებზე იხარჯება, შესაძლებელს გახდის 15 წლის განმავლობაში უზრუნველყონ ბინებით ამ ქვეყნის მთელი მოსახლეობა.

მ. ი. რუბინშტეინმა დაწვრილებით დახატა პერსპექტივები რომლებსაც განიარაღება უსახავს ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, სადაც მოსახლეობა იტანჯება შიმშილით, ეპიდემიური ავადმყოფობებით, კარგი საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობით. საყოველთაო და სრული განიარაღება, უწინარეს ყოვლისა, საშუალებას შექმნიდა ახალგაზრდა ქვეყნების სახალხო მეურნეობას მოხმარდეს მათივე საკუთარი ის სახსრები, რომლებიც ამჟამად სამხედრო საჭიროებებზე იხარჯება.

გარდა ამისა, განვითარებულ სამრეწველო სახელმწიფოებს შეუძლიათ განიარაღების შემდეგ მნიშვნელოვანი რესურსები გამოჰყონ განვითარების გზაზე დამდგარი ქვეყნების დასახმარებლად. მეორე მხრივ, ახალგაზრდა ქვეყნების ეკონომიური განვითარების დაჩქარება უდიდეს ბაზრებს მისცემდა ევროპისა და ამერიკის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, გაადიდებდა მოსახლეობის დასაქმებულობას და საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებას და, ამრიგად, ხელს შეუწყობდა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას ამ ქვეყნებში.

საბჭოთა მეცნიერმა დაახასიათა დიდი შესაძლებლობანი საერთაშორისო ვაჭრობისა, თუ იგი გამავისუფლდება „ცივი ომის“ ხელოვნური შეზღუდვებისაგან. საერთაშორისო ვაჭრობის ნამდვილი განვითარება, ხაზგასმით აღნიშნა მან, შეუთავსებელია ისეთი კარდახშული ორგანიზაციების არსებობასთან, როგორიც არის „საერთო ბაზარი“ — აგრესიული ნატოს კავშირის ეკონომიური სძირკველი. საბჭოთა კავშირი მოითხოვს შეიქმნას ნამდვილი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებშიც სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნები ითანამშრომლებენ სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ სარგებლობის საფუძველზე.

პროფესორმა რუბინშტეინმა აგრეთვე აღნიშნა, რომ განიარაღების დიდმნიშვნელოვანი ასპექტებია „თვალუწვდენი პერსპექტივები საერთაშორისო თანამშრომლობისა მშვიდობიანი მიზნებით მეცნიერული კვლევის ყველა დარგში“.

პრაღის უნივერსიტეტის რექტორმა იაროსლავ მარტენეცმა აღნიშნა ორი პრობლემა, რომლებიც კომისიამ უნდა განიხილოს. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, თქვა მან, ცრუ თეორიის წინააღმდეგ რისკის შესახებ, რომელსაც თითქოს წარმოადგენს განიარაღება ეკონომიური თვალსაზრისით. გარდა ამისა, უნდა განვიხილოთ, რა საკითხები უფრო ნათელი გახდა ამ ბოლო დროს, რა მარცხი განიცადეს ომის ძალებმა.

ორატორის სიტყვით განიარაღების საკითხებში ომის ძალების დიდი დამარცხებაა მეცნიერთა განცხადებანი კონტროლის საკითხზე. ამ მეცნიერებმა აშკარად დაამტკიცეს, რომ ატომური იარაღის გამოცდა შეიძლება აღმოჩენილ იქნას ეროვნული საშუალებებით. რაც შეეხება ეკონომიურ საკითხებს, განაგრძო ორატორმა, ომის ძალებს იმედი გაუცრუეს აგრეთვე მეცნიერმა ეკონომისტებმა, რომლებმაც ცხადყვეს, რომ მილიტარიზებული ეკონომიკის გარდაქმნა მშვიდობიან ეკონომიკად შეიძლება განხორციელდეს და რომ სიძნელეების გადალახვა სავსებით შესაძლებელია.

სიბილ გორსონმა (ინგლისი) აღნიშნა, რომ იმ ასეულ მილიონობით ადამიანის სამუშაოთი უზრუნველყოფის პრობლემა, რომლებიც ახლა დასაქმებული არიან იარაღის წარმოებაში, მეტად რთულია, და იგი ფრიად სერიოზულად უნდა იქნას შესწავლილი. მან შეიტანა წინადადება ფართოდ გააკეთონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მოხსენება სამხედრო ეკონომიკიდან მშვიდობიან ეკონომიკაზე გადასვლის საკითხზე. ინგლისის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროა ზუსტად განისაზღვროს შინაარსი ცნებისა „საყოველთაო განიარაღება“, „იმიტომ რომ ბევრ ადამიანს დასავლეთში ეს სრულიად განუზორციელებლად მიაჩნია“.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ოფორდმა აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს ბევრი ქვეყნის ეკონომისტებს შორის დაისახა თანხმობა განიარაღების საკითხებში. პროფესორი ოფორდი შეეხო ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც უნდა გადაჭრას განიარაღების შედეგად, და თქვა, რომ დღემდე დედამიწის მოსახლეობის 46 პროცენტი ცხოვრობს ეგრეთ წოდებულ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ცხოვრების დონე უაღრესად დაბალია.

არტურო ორონმა (მექსიკა) კომისიის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ განიარაღების საკითხი ძალიან ბევრ მხრივ უნდა იქნას განხილული.

არის რეჟიმები, თქვა მან, რომლებიც აბორიგენულებენ მშვიდობის პოლიტიკას. ესენი არიან სოციალისტური ქვეყნები. მაგრამ არის რეჟიმები, რომლთა ბატონობის შედეგია ქაოსი. ორატორმა ამასთან დაამოწმა ლათინური ამერიკის ქვეყნების მაგალითი, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიების მოძალეობას მოსდევს ქაოსი.

არტურო ორონმ მკაცრად გააკრიტიკა პროგრამა „კავშირი პროგრესისათვის“, „რომელსაც ასე ქებას ასხამს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა“. მან ამ პროგრამას „წმინდა წყლის პრაბაგანდა“ უწოდა. მექსიკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამით სახსრები ბოლოს და ბოლოს მონოპოლიების ხელში ხვდება და ჭრება ქვეყნებიდან.

შეეხო რა სოციალისტურ ქვეყნებს, მექსიკის დელეგატმა აღნიშნა, რომ მათ „ყოლოსალური შესაძლებლობანი მოეპოვებათ თავიანთი მრეწველობის განვითარებისათვის, მაგრამ ჩვენ ვერ ვვაჭრობთ მათთან, რამდენადაც ჩვენთვის ამ ვაჭრობის გზა ჯერ-ჯერობით დახშულია, თუმცა დამოუკიდებელ ქვეყნებად ვთვლებით“.

მექსიკის წარმომადგენლის აზრს სავსებით დაეთანხმა იაპონიის დელეგატი ხამალარაში, რომელმაც ილაპარაკა თავისი ქვეყნის მდგომარეობაზე

დოქტორმა პისტოლეზემ (იტალია), თავისი გამოსვლა მიუძღვნა ატომური მარაგის პრობლემას ეკონომიური პრობლემების თვალსაზრისით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ენერგიის ეს უდიდესი მარაგი ამჟამად გაყინულია, მაგრამ შეიძლებოდა მისი გამოყენება წარმოების მშვიდობიანი დარგების განვითარებისათვის, რაც იტალიელი სპეციალისტის აზრით, უწინარეს ყოვლისა ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს. მას მიაჩნია, რომ პრობლემის შესწავლას უნდა შეუდგეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

დამსწრენი ტაშით შეხვდნენ ცნობილი ეკონომისტის იურგენ კუჩინსკის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) სიტყვას. მან განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ხალხი დაგაჭრით იბრძვის განიარაღებისათვის ომის წინააღმდეგ, რადგან სძაგს ომი.

განიარაღების ეკონომიური ასპექტების კომისიის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის წევრი კონგრესსაბჭოს საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ლ. ნ. სოლოვიოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამჟამად სამხედრო საჭიროებებზე მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად 120 მილიარდ დოლარზე მეტი იხარჯება. სხვადასხვა სახეობის იარაღის წარმოებაში დასაქმებულია და არმიებში მსახურობს ეს მილიონზე მეტი კაცი. კვალიფიციურ მუშათა, ნიჭიერ მეცნიერთა, ინჟინერთა უდიდესი მასა არათუ არაფერს არა ქმნის ხალხის კეთილდღეობისათვის, არამედ, პირიქით, მუშაობს იმაზე, რომ აწარმოებს ადამიანთა და მატერიალურ ფასეულობათა მოსპობის საშუალებებს.

ფინეთი პატარა ქვეყანაა, ამბობს ფინური გაზეთის „რაკენტაიას“ რედაქტორი მარტი ნიემინენი, მაგრამ წარსული ომების მძიმე განსაცდელმა ასწავლა ჩვენ ხალხს პატივს სცემდეს მშვიდობას და იბრძოდეს მისთვის. სამწუხაროდ, ფინეთში ჯერ კიდევ არიან ომის გამჩაღებლები და სხვა რეაქციული ელემენტები. ისინი ცდილობენ ჩაფუშონ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, ეწევიან „ცივი ომის“ პოლიტიკას.

ბრაზილიის წარმომადგენელმა პაულო ალოს პინტომ დამსწრეთ აცნობა, რომ ბრაზილიის დელეგაციამ მსოფლიო კონგრესისათვის მოამზადა მოხსენება სათაურით „განიარაღებისა და მშვიდობის შენარჩუნების საფუძვლები“. იგი განსაკუთრებით ეხება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების საკითხებს, რომლებიც დასმულია ამ მოხსენებაში, და გმობს ექსპანსიას, რომელსაც შეერთებინ შტატები ახორციელებენ ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ბრაზილიის დელეგატი მხარს უჭერს სოციალისტურ სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას.

ჩილის დელეგაციის წარმომადგენელი ლაუტარო ონეფ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საყოველთაო და სრული განიარაღება, თუ მოხერხდა მისი განხორციელება, საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაძლიერთ ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა ცხოვრების დონე.

ინდონეზიის დელეგატმა სიმალუმ გაანცადა, რომ მოსკოვის კონგრესი ნაწილია საერთო ბრძოლისა დედამიწაზე მშვიდობისათვის.

როგორც სუდანის წარმომადგენელმა ომერ ელ რაგანმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნამდვილი დამოუკიდებლობა შეინარჩუნონ და განამტკიცონ ქვეყნებმა, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ დაადგნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი მარტინ ჰოლი შეეხო თავისი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ სამხედრო მრეწველობის მშვიდობიან რელსებზე გადაყვანის პრობლემა არსად არ არის ისე რთული და ძნელი, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„ევროპის „საერთო ბაზარს“ მარტინ ჰოლმა „ცივი ომის“ იარაღი უწოდა. ამერიკის დელეგაცია დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მსოფლიოს ყველა ნაწილთან თავისუფალი ვაჭრობის გაფართოებით შეიქმნება პირობები მშვიდობიანი თანაარსებობისა და ატომური განიარაღებისათვის.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა სახელით გამოვიდა დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი [illegible] უდიდესი ქარხნის მუშათა წარმომადგენელი სეზერმანი. იგი აცხადებს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოველწლიური სამხედრო ხარჯები 15 მილიარდ მარკას აღწევს. გარდა ამისა, 15 მილიარდი ამავე მიზნებისათვის იხარჯება ბიუჯეტის სხვა მუხლების მიხედვით. ნეიტრალიტეტი და საზავო ხელშეკრულების დადება გააუმჯობესებდა მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის სახელით გამოდის ჯუ ძი-ცი. იგი ლაპარაკობს ჩინელი ხალხის აქტიურ ბრძოლაზე განიარაღებისათვის.

კომისიის დილის სხდომაზე აფრიკის დელეგაციების სახელით გამოვიდა საკო მამადუ. მან მოუწოდა, კერძოდ, ლიკვიდირებულ იქნას უცხოეთის სამხედრო ბაზები.

პრეზიდიუმის წინადადებით შეიქმნა ქვეკომისიები. ერთი მათგანის დისკუსიის თემაა განიარაღება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება, მეორისა — განიარაღება და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება. გარდა ამისა, პირველ ქვეკომისიაში დელეგატების ჯგუფი ცალკე განიხილავს სამხედრო წარმოებათა რეკონვერსიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კომისიაში „განიარაღების სავარეულის, კულტურის, მორალის პრობლემები“

მოსკოვი, 11 ივლისი. (საკადესი). განიარაღების პრობლემის მორალური, კულტურული, სამედიცინო და იურიდიული ასპექტები ინტერესებს კონგრესის ძალიან ბევრ დელეგატს. სწორედ ამიტომ 10 აგვისს არქიტექტორის ცენტრალურ სახლში, სადაც შუშაობა დაიწყო მეოთხე კომისიამ, რომელიც მოწოდებულია განიხილოს ეს საკითხები, დარბაზში თავისუფალი ადგილები არ იყო. ესწრებოდა 400-ზე მეტი კაცი.

კომისიამ აირჩია პრეზიდიუმი ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიის, მალის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინდოეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

შეიქმნა სამი ქვეკომისია: მორალის, საკითხთა, იურიდიული, კულტურის საკითხთა.

თავმჯდომარემ ფილოსოფიის დოქტორმა სტეიუარტ ინერსტმა (ამერიკის შეერთებული შტატები) თავის შესავალ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მთელი კაცობრიობის შეკავშირება. თვითეული ადამიანი, აცხადებს ინერსტი, უნდა გრძნობდეს თავს მთელი მსოფლიოს მოქალაქედ.

ამერიკელმა დელეგატმა წინადადება წამოაყენა შემუშავებულ იქნას და განხორციელდეს დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ერთწლიანი პროგრამა. ორატორის აზრით, საჭიროა აგრეთვე შემუშავებულ იქნას დედამიწაზე შიმშილის ლიკვიდაციისა და მოსახლეობის უწიგნურობის ლიკვიდაციის პროგრამები. ეს, მისი სიტყვით, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პრობლემებია.

მადაგასკარის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგატები შეეხნენ სხვადასხვა საკითხს. მათ, კერძოდ, ილაპარაკეს „ცივი ომის“ პრობლემებზე, იმაზე, რომ საჭიროა აიკრძალოს ომის პროპაგანდა, რისთვისაც მიღებულ უნდა იქნას შესაბამისი კანონი.

საბჭოთა დელეგატმა აკადემიკოსმა ა. ვ. ტოპჩიევმა განცხადება გააკეთა თემაზე „ომის ამორალური ხასიათი“.

— მინდა აღვნიშნო, — თქვა მან, — რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენ ხშირად (და ეს სავსებით გამართლებული და სამართლიანია) მივმართავთ საღ აზრსა და გონებას, მაგრამ, უნდა ითქვას, ჯერ კიდევ ნაკლებად მივმართავთ მორალურ-ეთიკურ ასპექტს, ნაკლებად მივმართავთ ადამიანთა გრძნობებს, მათს ზნეობრივ საწყისებს.

რა შეიძლება ითქვას, განაგრძობს საბჭოთა აკადემიკოსი, მეცნიერებზე, რომლებიც თავიანთ ცოდნას ახმარენ უგუნური პროექტების განხორციელებას, რომლებიც იმუქრებიან სამარეში გაიყოლიონ ასეულ მილიონობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი?

[illegible] ზრახვებ[illegible] [illegible] მარტო სიტყვებად როდი რჩება.

განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე

(დასასრული)

პორტუგალიის წარმომადგენელმა, დასავლეთის პრესა არაფერს ამბობს სალაზარის სასტიკი რეჟიმის მოქმედების შესახებ.

არ შეიძლება თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოს ქვეყანა, რომელმაც თავისი ტერიტორია დათმო უცხოეთის სამხედრო ბაზებისათვის, — თქვა დისკუსიის მონაწილემ ინგლისელმა მერი კლაპერმა. უცხოეთის სამხედრო ბაზები, ამბობს იგი, რომლებიც შექმნილია ჩვენს მიწაწყალზე და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ის ბაზები, რომლებიც აღჭურვილია რაკეტულ-ატომური დანადგარებით, სერიოზული საფრთხეა არა მარტო იმ ქვეყნების ხალხებისათვის, სადაც ეს ბაზებია, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც.

დელეგატები გულთბილად შეხვდნენ მადაგასკარის ეროვნული ასამბლეის დეპუტატის დოქტორ რასეტის გამოსვლას.

— არ შეიძლება იყოს მშვიდობა მიწაზე, სადაც ცხოვრობს ჩაგრული ხალხი, — თქვა მან. — კოლონიზატორები სასტიკად ჩაგრავენ ჩემს თანამემამულეებს. და ჩაგრულები იარაღდებიან, რათა განდევნონ მოძალადეები თავიანთი მშობლიური მიწაწყლიდან. მაგრამ კოლონიალიზმი წამლავს მშვიდობის ატმოსფეროს მაშინაც კი, როცა იგი მიდის, რადგან დამპყრობლები ყოველთვის ეძებენ ხერხს დაბრუნდნენ იქ, საიდანაც ისინი განდევნეს.

„ატომური ომის თავიდან აცილება, მშვიდობის უზრუნველყოფა კაცობრიობის წმიდათა-წმიდა ამოცანაა“, — აღნიშნა თავის გამოსვლაში ინდონეზიის დელეგატმა იუსუფმა. — ამ ამოცანათა შორის ყველაზე დიდმნიშვნელოვანია განიარაღების პრობლემა, რომლის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ხალხების გაერთიანებული ღონისძიებებით, ერთობლივი მოქმედებით იმპერიალისტებისა და კოლონიზატორების წინააღმდეგ.

ფაშიზის წინააღმდეგ ცნობილი მებრძოლის ქვრივმა გუსტა ფუჩიკოვამ (ჩეხოსლოვაკია) შეაფიო, ამაღლებულ გამოსვლაში ყველა დელეგატს მოუწოდა მოქმედების ერთიანობისაკენ, საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში ღონისძიებათა გაერთიანებისაკენ. ჩვენმა თაობამ, ამბობს იგი, უკვე განიცადა ორი მსოფლიო ომი. ჩვენი თაობის ამოცანა ის არის, რომ არ დაუშვას ხალხთა ახალი მასობრივი განადგურება.

— ზღაპრული მოგება რომ მიიღონ, — აცხადებს ცეილონის დელეგატი ტეჯა გუნავარდენა, — კაპიტალისტური მონოპოლიები აღვივებენ გამალებულ შეიარაღებას. ამას ისინი სჩადიან მთავრობის საშუალებით, რომლებსაც არსებითად, მართავენ იგივე მონოპოლიები, და ხალხს, სამწუხაროდ, საშუალება არა აქვს თავისი სიტყვა თქვას ამ საკითხის გამო. სიკვდილით მოვაჭრენი — იარაღის ფაბრიკანტები, მონოპოლიები, რომლებიც წარმოშობენ გამალებულ შეიარაღებას, უნდა მოისპონ ისტორიის სცენიდან. პროგრესის ძალები მოწოდებული არიან უზრუნველყონ მშვიდობა დედამიწაზე.

„საბჭოთა ადამიანების აზრი და გრძნობა განიარაღებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შესახებ ემთხვევა თქვენს აზრსა და გრძნობას, — განაცხადა საბჭოთა ისტორიკოსმა პროფესორმა ნ. მატკოვსკიმ, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ორგანულად დაკავშირებულია საყოველთაო განიარაღებისათვის ბრძოლასთან.

— ჩვენთვის როდი კმარა ჩვენი დამოუკიდებლობა, — ამბობს ტანგანიკის წარმომადგენელი რვეგაზირა, — თავისუფლად არ ჩავთვლით თავს მანამდე, სანამ თავისუფალი არ იქნება მთელი აფრიკა. კოლონიალიზმი და იმპერიალიზმი, ხაზგასმით აღნიშნა მან, უდიდესი საშიშროებაა მთელი კაცობრიობისათვის.

სხდომის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს განის დელეგატის ნ. უილბეკის გამოსვლა. მან თქვა, რომ გაელი ხალხი, რომელმაც დიდი ხანი არ არის მოიპოვა დამოუკიდებლობა, მტკიცედ მოითხოვს განიარაღებას. დამოუკიდებლობისა და განიარაღების საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. კოლონიურ სახელმწიფოებს იარაღი რომ არ ჰქონდეთ, ისინი ვერ დაგვიმონებდნენ.

ინდოეთის დელეგატის პროფესორ დ. დ. კოსამბის აზრით, ერთგვარი წინააღმდეგობაა განიარაღებასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის. მან თქვა, რომ იმ ქვეყნებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს, უნდა ჰქონდეთ იარაღი ამ დამოუკიდებლობის დასაცავად. ინდოეთის დელეგაცია, განაცხადა კოსამბიმ, მტკიცედ მოითხოვს უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას და უცხოეთის ყველა ჯარის გაყვანას სხვა ქვეყნების ტერიტორიიდან, რადგან ისინი ხელს უშლიან ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ამავე დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მშვიდობის მოძრაობა და დამოკიდებული ქვეყნების ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლება ვეღარ შუშაობა უცხოეთის სახელმწიფოთა ჯარებს შორის, რომლებიც ამ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე იმყოფებიან. ეს შუშაობა, თქვა მან, უნდა ვაწარმოოთ იმისათვის, რომ უცხოელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც ჩაგრულ და დამოკიდებულ ქვეყნებში იმყოფებიან, გაიგონ, თუ რა მიზნებს ემსახურებიან.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა მწერალი ვანდა ვასილევსკაია, რომელმაც აღნიშნა, რომ განიარაღებასა და ეროვნული განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა მოძრაობას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არის. თუ დრაკონს კბილებს ღაკაგლეჯთ, ამბობს იგი, იგი თავს დაანებებს კბენას, ასევე უნდა მოექცნენ ხალხები იმპერიალიზმსაც. იმპერიალიზმი, რომელსაც მოესპობა მასობრივი განადგურების იარაღი, ვერ გაუწევს წინააღმდეგობას ხალხების ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის. თავისი აზრის დასადასტურებლად ვანდა ვასილევსკაიამ მრავალი მაგალითი მოიყვანა. იგი, კერძოდ, იმოწმებს იმას, რომ დიქტატორული რეჟიმები ლათინური ამერიკისა და აზიის ქვეყნებში მხოლოდ იმპერიალისტთა შეიარაღებული დახმარების წყალობით ბოგინობენ.

ჩინელი მწერალი იან შო ლაპარაკობს ჩაგრული და დამოკიდებული ქვეყნებისა და ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მხარდაჭერის შესახებ. ჩინელი ხალხი, განაცხადა მან, საჯაროდ დებს ფიცს, რომ ყოველი ღონისძიებით დაუჭერს მხარს ხალხთა ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის.

გამოდის სახალხო მონღოლეთის წარმომადგენელი ჩ. ჩიმიდი. იგი ამბობს, რომ მისი ქვეყანა, რომელიც დღეს აღნიშნავს სახალხო რევოლუციის 41-ე წლისთავს, მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პირობებში აყვავების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს. მშვიდობა და განიარაღება ყველაზე სანუკვარი სურვილია ჩემი ხალხისა, ხაზგასმით აღნიშნა ჩ. ჩიმიდმა.

ამერიკის დელეგაციის წარმომადგენელმა ქალბატონმა ლუიზა პატერსონმა განაცხადა, რომ ომის წინააღმდეგ ბრძოლა არსებითად რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაა. ამას ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით მწვავედ ვგრძნობთ, ხაზგასმით აღნიშნა მან.

მშვიდობისათვის ბრაზილიელი ხალხის ბრძოლის შესახებ ილაპარაკა ბრაზილიის დელეგატმა გ. დე სიზა ფილომ. ჩვენს ხალხს მიაჩნია, თქვა მან, რომ იარაღი უნდა გამოვგლიჯოთ იმპერიალისტებს, რათა იმპერიალისტებმა ვეღარ შეძლონ ხალხების დამონება. ჩვენი საერთო ამოცანაა ბოლო მოვუღოთ ომის გამჩაღებლებს მთელ მსოფლიოში. ამ განცხადებას მხარი დაუჭირა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგატმა გ. ბუდიცისლავსკიმ. მან მხარი დაუჭირა იმას, რომ ნატოს საყრდენი პუნქტები ლიკვიდირებულ იქნას დასავლეთ ბერლინში, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო ბაზები ლიკვიდირებულ იქნას დედამიწის სხვა რაიონებში.

იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს, კუბის ხალხს სახელით გულითადად მიესალმა ამ რესპუბლიკის მშვიდობისათვის მებრძოლთა დელეგატი სანტიაგო ფრაილე. ჩვენი ხალხი ერთსულოვანია მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში, ხაზგასმით აღნიშნა მან. კუბის დელეგატმა წინადადება შეიტანა მოეწყოს ჰავანაში სამი მატერიკის — აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის კონფერენცია იმისათვის, რომ ერთობლივი მოქმედება შემუშავდეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას კონგრესის სპეციალურ სხდომაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს სიტყვა უდიდესი წვლილი იქნება საყოველთაო განიარაღებისა და ხალხთა ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, თქვა თავის გამოსვლაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ფამ ვონ ხონგმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყნის მთავრობა ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, მტკიცედ იცავს ჟენევის შეთანხმებებს.

ზედა ვოლტის დელეგატმა დიარა ამადუმ მშვიდობისათვის ყველა მებრძოლს მოუწოდა მხარი დაუჭირონ აფრიკის ხალხთა მოძრაობას დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის.

ჩვენი კონგრესი უეჭველად დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლაში, განაცხადა კენიის წარმომადგენელმა ბ. მ. კაგიამ.

ორმოცზე მეტი ორატორი გამოვიდა საერთო დისკუსიაში „განიარაღებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის“ კომისიის სხდომაზე. ამ საკითხის განხილვა გაგრძელდება ორ ქვეკომისიაში.

ფოთოლი არის,

რატომ „ასვენებენ“ პლანტაციებს?

წელს სამდურავი არ ეთქმის წყალტუბოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებს. 10 ივლისისათვის 76,6 პროცენტით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის დაგალება და გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 679,2 ტონით მეტი მოკრიფეს. მეჩაიეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წლიური გეგმა პირველი აგვისტოსათვის შეასრულონ, ხოლო ვალდებულება პირველი სექტემბრისათვის გაანაღდონ.

სასიხარულოა, რომ წყალტუბოს რაიონის სოფელ მიწაწიოლის და სატყეურის კოლმეურნეობებმა პირველ ივლისამდე გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმები.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ამ საერთო წარმატების ფონზე კვლავ არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, რომლებიც მოწინავეთა ხარჯზე იოლად გადიან, მაქსიმალურად არ იყენებენ არსებულ რეზერვებს და ძველებურად ერთ ადგილს ტკეპნიან.

ბევრ კოლმეურნეობას ჩაის კრეფაში იმაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე საერთოდ სამმართველოს. ასეთებია, მაგალითად, წყალტუბოს რაიონის მეჩაიეობის 27 კოლმეურნეობიდან 11 კოლმეურნეობა, ხოლო ტყიბულის რაიონის 16-დან 8 კოლმეურნეობა.

დასანანია, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში კრეფის ტემპი არათუ არ გაძლიერეს შარშანდელთან შედარებით, კიდევაც შეანელეს. მაგალითად, წყალტუბოს რაიონში სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე შალვა ჯიშკარიანი) შარშან 10 ივლისისათვის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებული ჰქონდა 71,7 პროცენტით, წელს კი ამავე პერიოდისათვის — 67 პროცენტით. ასევე ითქმის მუხაანის ლენინისა და ფარცახანაყანევის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობებზეც.

თუმცა საკრეფი ფოთოლი ყველგან არის, მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში პლანტაციებს რატომღაც „ასვენებენ“, ზედიზედ რამდენიმე დღეს არ კრეფენ ფოთოლს. მაგალითად, 8 ივლისს, როცა ფოთოლი იყო და მეჩაიეებს ცუდი ამინდი არ უშლიდა ხელს, კრეფა სრულიად არ უწარმოებიათ წყალტუბოს რაიონის 15 და ტყიბულის რაიონის ერთ კოლმეურნეობა ში. არც 8 და არც 9 ივლისს ფოთოლი არ უკრეფიათ სოფლების მექვენის, ზედა მესხეთის და მუხიანის კოლმეურნეობებს. ახე იყო 10 ივლისსაც. მართალია, 9 ივლისს საღამოს წვიმა მოვიდა, მაგრამ მეორე დღეს კარგი ამინდი დადგა. ამის მიუხედავად, ბევრ კოლმეურნეობას კრეფა არ განუახლებია, ხოლო სოფელ გუმბრის კოლმეურნეობის პლანტაციებში ორიოდე მკრეფავი იყო გასული, როცა აქ ჩაის ფოთოლი უხვად არის და დაგვიანების გამო მისი დიდი ნაწილი უხეშდება.

შესაძინევია ისიც, რომ უკანასკნელ ხანს ძლიერ შეანელეს ზრუნვა ჩაის ფოთლის ხარისხისათვის. ამ მხრივ თავისებური „რეკორდი“ დაამყარა წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რ. გორდელაძე), სადაც 10 ივლისამდე მოკრეფილი 75,4 ტონიდან 38,1 ტონა მეორე ხარისხისაა. დიდი რაოდენობით აქვთ აგრეთვე მოკრეფილი მეორე ხარისხის ფოთოლი ტყიბულის რაიონის სოფელ საწორეს კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ი. გვენეტაძე).

პლანტაციების „დასვენება“ და კრეფაში მორიგეობა, როცა ფოთოლი უხვად არის შემოსული, აშკარა დანაშაულია. წყალტუბოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველომ, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა ძირშივე უნდა აღკვეთონ თვიდამშვიდების მავნე პრაქტიკა, არ დაკმაყოფილდნენ მიღწეული წარმატებებით და მთელი ძალები დარაზმონ ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვისწავლოთ ნოვატორი მშენებლებისაგან

ნ. ძაგანიას ბრიგადის

საუცხოო თაოსნობა

მთავართბილისმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოს დურგალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის კოლექტივის წერილი

მოსმშენის პირველი ტრესტის მე-6 სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟეთა გერმანე ლამოჩკინის კომპლექსურ ბრიგადას

ჩვენ, ნ. ძაგანიას ბრიგადის მუშაკები, ვიბრძოლეთ, ეკონომიურად ვიხარჯებოდა და გავზარდოთ 7,5 პროცენტით წე-ტყის მასალის ეკონომიური გამოყენების გზით დავზოგოთ მშენებლობისათვის გათვალისწინებული მასალის 1,5 პროცენტი; ყოველწლიურად მოვამზადოთ ორი ახალგაზრდა და ამით გავზარდოთ ჩვენი ბრიგადის კოლექტივი.

მაგრამ რასაც ჩვენ მივაღწიეთ, ზღვარი არ არის. ჩვენ შეგვიძლია უკეთ ვიმუშაოთ, ვაშენოთ სწრაფად, კარგად და იაფად. მშრომელებს ავუშენოთ ისეთი ბინები, რომლებიც დააკმაყოფილებს მათს გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს.

ჩვენ გვესმის, რომ მშენებელთა წინაშე დიდი ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში მეტად მნიშვნელოვანია გავიზიაროთ მოწინავეთა გამოცდილება, ვისწავლოთ ნოვატორი მშენებლებისაგან. ამიტომ მოგმართავთ წერილით და გვსურს თქვენთან დავამყაროთ მეგობრული ურთიერთობა, ავითვისოთ და დაგნერგოთ მშენებლობის მოწინავე ხერხები და მეთოდები, რომლებსაც თქვენ იყენებთ.

ძვირფასო მოსკოველო მეგობრებო, მოგმართავთ რა ამ წერილით, დარწმუნებული ვართ, რომ მოიწონებთ ჩვენს წინადადებას, დაამყარებთ ჩვენთან მეგობრულ ურთიერთობას. წერილობით გავაცნობთ ერთმანეთს ჩვენს წარმატებებს, სიახლეს მშენებლობაში. ეს ხელს შეგვიწყობს იმაში, რომ გაბედული ნაბიჯით ვიაროთ წინ შვიდწლედის ახალი მიჯნების დასაპყრობად.

სულით და გულით გისურვებთ თქვენ და ჩვენი ქვეყნის ხალხებისათვის საყვარელი მოსკოვის მშენებლებს ახალ და ახალ გამარჯვებებს სამშობლოს კეთილდღეობისათვის, საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის შრომაში.



მთავართბილისმშენის მეცხრე სამშენებლო სამმართველოს დურგალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის დავალებით: ნიკანდრო ძაგანია — ბრიგადირი, შალვა ბიძინაშვილი — ბრიგადირის მოადგილე, თეიმურაზ ბასილაშვილი, ნიკოლოზ კერესელიძე, დიმიტრი ბასკაკოვი, ლადო ბოცირიძე — ბრიგადის წევრები.

ნ. ძაგანიას დურგალთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ წლის პირველი ნახევრის გეგმა 187 პროცენტით შეასრულა. შესრულებული სამუშაო მხოლოდ პირველი სარისხისაა. ბრიგადირი გვპირდება, რომ შეისწავლიან მსხვილი ბლოკებით სახლების მონტაჟს. ბრიგადა გახდება კომპლექსური, მე-4 კვარტალში დაიწყებს სახლების მშენებლობას და მთლიანად დაამთავრებს მას.

ერთსულოვანი მხარდაჭერა

მშვიდობის მძლავრი ხმა

ჩვენი დიდი ქვეყნის გულიდან, მოსკოვიდან მთელ მსოფლიოს ეფინება ხალხთა სანუკვარი ხმა — მშვიდობისათვის მებრძოლთა ხმა. და, ამ ხმას ჩვენც — საქართველოს სოფლის მშრომელები, ვუერთებთ ჩვენს გრძნობებს.

რომ წავიკითხე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, რომელიც მან საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე წარმოთქვა, ერთხელ კიდევ ღრმად დავრწმუნდი იმაში, თუ რა უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებებს სახავს საბჭოთა მთავრობა მშვიდობის შენარჩუნებისა და ატომური ომის თავიდან აცილებისათვის.

ჩვენ, უბრალო ადამიანებს, კარგად გვესმის ამერიკის იმპერიალისტთა დანაშაულებრივი მოქმედება, როცა მათ, ამ დღეებში განახორციელეს დიდი სიმძლავრის ატომური აფეთქებანი. ეს აფეთქებანი მოხდა იმ დროს, როცა მოსკოვში მუშაობას განაგრძობს საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესი. ეს იმპერიალისტების კიდევ ერთი პროვოკაციული გამოხდომაა, რათა დააშინონ ხალხი ომის მუქარით, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ მშვიდობის ძალები გაიმარჯვებენ.

საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მუშაობის დღეებში სოფლის მშრომელები ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ წამოყენებულ წინადადებებს და გაორკეცებული ენერგიით განვაგრძობთ შრომას. ამისათვის, რომ კიდევ უფრო დიდი მოსავალი მოვიყვანოთ. ამით ხელს შეეწყობთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, მშვიდობის საქმეს.

გ. სიხაშვილი,
ქარელის კოლმეურნეობის მექანიზატორი.

ორომა, მტკიცე მეგობრობა

ბიათუერელი მაღაროელები გულდასმით გავეცანით ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას, რომელშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკა, ნაჩვენებია საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის განმტკიცების გზები.

აგრესორები ომით იმუქრებიან. ჩვენ მშვიდობა, შემოქმედებითი შრომა გვსურს.

მშვიდობის მსოფლიო კონგრესი ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიკავებს მშვიდობისათვის ბრძოლის ისტორიაში. ვუსურვებ კონგრესის მონაწილეებს წარმატებას მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებაში.

გ. ბაძრაძე,
მაღაროო ახალი ითონვისის ნოვატორი მბურღავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, პარასკევი, 18 ივლისი, 1962 წ.

პირველი მიჯნა — მიმდინარე წელს!

ყოველ 100 ჰექტარზე: 75 ცენტნერი ხორცი და 204 ცენტნერი რძე

— გვპირდება გურჯაანის კოლმეურნეოგეგისა და საგჯოთა მეურნეოგეგის საწარმოო სამმართველო

გურჯაანის საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა გულდასმით განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა სოფლის მშრომელებისადმი, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მეცხოველეობის პროდუქტების შესასყიდი და ჩაბარების ფასების გადიდების შესახებ.

ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების განხილვის შემდეგ საწარმოო სამმართველოს საბჭომ შეადგინა კონკრეტული გეგმა, თუ რა უნდა გააკეთონ ივლისში, აგვისტოში, შემდეგ თვეებში, 1963 წელს. კონკრეტული სამუშაო გეგმები შედგა აგრეთვე ყოველ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადაში, ფერმაში. ეს საშუალებას მისცემს გეგმიანად აწარმოონ სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტები. ამასთან ხელმძღვანელობას შეაძლებლობა ეძლევა სწრაფად გაერკვეს ამა თუ იმ მეურნეობაში შექმნილ ვითარებაში და ოპერატიულად დასახოს ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის დიდი ღონისძიებები ტარდება გურჯაანის საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების მშრომელები მთელი შეგნებით და ენერგიით იბრძვიან მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მიერ სოფლის მეურნეობის დარგში დასახული ამოცანების შესასრულებლად, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პატრიოტული მოძრაობის — „სპეციალისტებო, წავიდეთ უშუალოდ ბრიგადებსა და ფერმებში!“ ინიციატორები გურჯაანის საწარმოო სამმართველოს მშრომელები არიან. ამ თაოსნობის წამომწყებთა — ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ სპეციალისტთა მაგალითით სოფლის მეურნეობის მრავალი ათეული სპეციალისტი წავიდა სამუშაოდ იქ, სადაც უშუალოდ წყდება პროდუქტების წარმოების ბედი. ეს თაოსნობა, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დღითიდღე ფრთებს ისხამს და ფართოდ ვრცელდება ჩვენს რესპუბლიკაში. სოფლად დაიწყო ნამდვილი დიდი ლაშქრობა ახალი ზღუდეების დასაპყრობად.

სამმართველოში შემავალი გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია, მაგრამ ძირითადი მაინც მეცხოველეობა, მეცხოველეობა და მემინდვრეობაა. სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 83,061 ჰექტარს შეადგენს, საიდანაც 38.479 ჰექტარი სახნავ-სათესია.

გურჯაანის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა სამოქმედო ასპარეზი ფართოა, გეგმები დიდი და საპატიოა. ეს მათ იმაზე მიუთითებს, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საქმეში არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი, უფრო მტკიცედ დარაზმონ მატერიალური დოვლათის მწარმოებელი ადამიანები.

როგორც რესპუბლიკის სხვა კუთხეებში, ისე გურჯაანის საწარმოო სამმართველოშიც მრავალ ადამიანს შუქურები, რომელთა შრომითი მიღწევები მისაბაძი მაგალითია ათასობათვის. აქ მუშაობას ისე აწყობენ, რომ ფართოდ ავრცელებენ მოწინავეთა მდიდარ გამოცდილებას; — ეროვნის მიღწევა გავხადოთ ყველას კუთვნილებად! — ამ დევიზით შრომობენ და სწავლობენ ადამიანები. ამ საქმეში დიდია სოციალისტური შეჯიბრების როლი და მნიშვნელობა, ამიტომაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და ფერმებში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება.

სამმართველომ აგროტექნიკურ ვადებში უზრუნველყო სავაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის წარმატებით შესრულება. 13.761 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 14.334 ჰექტარი. მათ შორის სიმინდი დათესეს 9.027 ჰექტარი ნაცვლად 8.550 ჰექტარისა. უახლოეს დღეებში დამთავრდება სიმინდის ნათესების მეორე კულტივაცია, თოხნა და გამოხშირვა.

იმისათვის, რომ მიმდინარე წელს მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საქმეში, გურჯაანელებმა იკისრეს შემდეგი ვალდებულებები: საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოსავლისა და ბალახების უდანაკარგოდ აღება ახლა მთავარია, მოსავალს აიღებენ 10 სამუშაო დღეში, პარალელურად გაჩაღეს ნაშვერალზე სიმინდისა და ბარდის თესვა. სულ დათესავენ 4.445 ჰექტარ სიმინდს და 595 ჰექტარ ბარდას.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ორგანიზაციის სრულყოფით მიაღწევენ იმას, რომ წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღებენ 13 ცენტნერ ხორბალს, 12 ცენტნერ მზესუმზირას, 25 ცენტნერ სიმინდის მარცვალს, ხოლო 1.000 ჰექტარი უხვმოსავლიანი ფართობიდან — 60 ცენტნერ სიმინდს.

ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე აწარმოებენ 75 ცენტნერ ხორცს, 204 ცენტნერ რძეს, ხოლო ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულს ნათესზე — 1.170 კვერცხს. ამით ისინი აიღებენ პირველ მიჯნას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების საქმეში.

საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღებენ 1.500 ლიტრ რძეს, ყოველ 100 ნერბზე შეინარუნებენ 93 ბატკანს, ყოველ 100 ძროხაზე — 95 ხბოს, თვითეულ დედაღორზე — 10 გოჯს.

სახელმწიფოს მიჰყიდიან 6.700 ტონა მარცვლეულს. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიჰყიდიან და ჩაბარებენ სახელმწიფოს ხორცს — 1.574 ტონას, რძეს — 4.870 ტონას, კვერცხს — 2.160.000 ცალს, მატყლს — 1.614 ცენტნერს.

მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით წელს დაამზადებენ უხეშ საკვებს 36.560 ტონას, მათ შორის თივას — 4.890 ტონას, სილოსს დაამზადებენ 130 ათასამდე ტონას.

კიდევ უფრო გაზრდილ ვალდებულებებს კისრულობენ ცალკეული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები კისრულობენ ვალდებულებას საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღონ 45 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, 18 ცენტნერი ხორბალი, 20 ცენტნერი ქერი.

პატარძეულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (საგარეჯოს რაიონი) იკისრა თვითეულ ძროხაზე მიიღოს 1.900 ლიტრი რძე.

სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის (გურჯაანის რაიონი) წევრებმა პირობა დადეს თვითეულ დედაღორზე მიიღონ და გაზარდონ 12 გოჯი, წლის ბოლომდე გაასუქონ 750 სული ღორი და სახელმწიფოს მიჰყიდონ 40 ტონა მაღალი კონდიციის ღორის ხორცი.

ვაზისუბნის კოლმეურნეობის (გურჯაანის რაიონი) ვალდებულებაა ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე აწარმოოს 150 ცენტნერი ხორცი, ყოველ 100 ჰექტარ საკარგულებზე — 400 ცენტნერი რძე.

გიორგიწმინდის კოლმეურნეობა (საგარეჯოს რაიონი) კისრულობს აწარმოოს და სახელმწიფოს მიჰყიდოს ხორცი 800 ცენტნერი, რძე — 2.500 ცენტნერი, მატყლი — 123 ცენტნერი და კვერცხი — 150.000 ცალი.

ახლა მათი ძირითადი საზრუნავია მაქსიმალურად გამოიყენონ პარტიისა და მთავრობის ზრუნვა, მეცხოველეობის პროდუქტების შესასყიდი ფასების გადიდებით მიღებული შემოსავალი მოახმარონ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საქმეს და უახლოეს მომავალში აიღონ მეორე და მესამე მიჯნა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში. ქვეყანას მისცენ ბევრი და იაფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ამ ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად მაქსიმალურად გამოიყენებენ ყველა რეზერვებსა და შესაძლებლობას. მათ მხურვალედ მოიწონეს სიღნაღისა და გორის საწარმოო სამმართველოების ინიციატივა სოციშეჯიბრების გაწევის შესახებ და თავის მხრივ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ზესტაფონის საწარმოო სამმართველოს მშრომელები.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის გასაღები ჩვენ ხელთ არის. ვებრძოლოთ და გავიმარჯვოთ, მივცეთ სამშობლოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები! — აცხადებენ გურჯაანელი მშრომელები.

ნ. ხრუშჩოვი

საუცხოო თაოსნობა

მთავართბილისმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოს დურგალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის კოლექტივის წერილი

მოსმშენის პირველი ტრესტის მე-6 სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟეთა გერმანე ლამოჩკინის კომპლექსურ ბრიგადას

ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონ

ერთსულოვანი მზარდაჰერა

დღეს მთელი მსოფლიო დიდი უურადღებით ეცნობა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მოსკოვის მსოფლიო კონგრესზე. ქვეყნათ ვხედავთ უცხოეთის გაზეთების ფურცლებზე დაბეჭდილ გამოსხმაურებებს.

✦

„რ ა ბ ო ტ ნ ი ჩ ე ს კ ო დ ე ლ ო“. (ბულგარეთი). ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა იყო მკაფიო, ხატოვანი, ღრმა დასაბუთებული, წერს გაზეთი. იგი უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. ორატორის სიტყვის დასკვნით ნაწილს, რომელიც მან მშვიდობასა და ხალხთა მეგობრობას უძღვნა, მთელი დარბაზი აღტაცებული ოვაციით შეხვდა.

✦

„დიარიო დე ლა ტარდე“ (კუბა): „ნ. ს. ხრუშჩოვმა ყველა ხალხს მიმართა ნათელი მოწოდებით: მშვიდობას მოვიპოვებთ ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ მტკიცე და თავდადებული ბრძოლით.

ეჭვს გარეშეა, რომ ხალხები გამოეხმაურებიან ამ მოწოდებას“.

✦

ნორვეგიულმა გაზეთებმა პირველ გვერდებზე მსხვილი სათაურებით მოათავსეს ხრუშჩოვის გამოსვლის შინაარსი, რომელიც მან წარმოთქვა მშვიდობისა და საყოველთაო განიარაღების მსოფლიო კონგრესზე. გაზეთები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს საბჭოთა მთავრობის მეთაურის წინადადებას ბერლინის საკითხზე.

მილიონთა სახელით

ბერლინი, 11 ივლისი. (საკადესი). ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: მიუხედავად იმ მრავალი პროტესტისა, რომელსაც აცხადებენ სხვადასხვა მსოფლმხედველობის წარმომადგენელი ყველა კონტინენტის მამაკაცები და ქალები, მიუხედავად გამოჩენილ მეცნიერთა პროტესტებისა, თქვენმა მთავრობამ მაინც განახორციელა ატომური მოწყობილობის აფეთქება დიდ სიმაღლეზე.

მსოფლიოს მრავალი მილიონი ქალის სახელით ფედერაცია დიდ გულისწყრომას გამოთქვამს ატომური იარაღის გამოცდის გამო, რომელიც უდიდეს საშიშროებას უქმნის კაცობრიობას. ჩვენ მოვითხოვთ, ნათქვამია დეპეშის დასასრულს, დაუყოვნებლივ შეწყდეს ამგვარი გამოცდები და მოეწყოს მოლაპარაკება ატომური იარაღის აკრძალვისა და კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო განიარაღების მიღწევის მიზნით.

აღმარეგული რეაქცია

ვაშინგტონი, 11 ივლისი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა თავი არც კი შეიწუხა ცოტად თუ ბევრად უურადღებით გასცნობოდა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას მშვიდობისა და საყოველთაო განიარაღების მსოფლიო კონგრესზე და იჩქარა გამოექვეყნებინა განცხადება. ეს განცხადება შეიიტანა შეეფასოთ მხოლოდ როგორც იმის ცდა, რომ შეანელონ დიდი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მთელ მსოფლიოში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დინჯმა, კარგად დასაბუთებულმა და დამაჯერებელმა გამოსვლამ.

სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების ავტორები იქამდეც კი მივიდნენ, რომ ამტკიცებენ თითქოს პასუხისმგებლობა შეერთებული შტატების მიერ კოსმოსში ატომური ავეთქებისათვის, რომელმაც მთელი მსოფლიო აღაშფოთა, უნდა დაეკისროს არა ამერიკის შეერთებულ შტატებს, არამედ... საბჭოთა კავშირს.

სახელმწიფო დეპარტამენტმა კატეგორიულად უარყო კონსტრუქციული წინადადება, რომელიც წამოაყენა ნ. ს. ხრუშჩოვმა და რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია მთელ მსოფლიოში, ის წინადადება, რომ დაავალონ ბერლინში მყოფი შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ჯარები — შეიცავლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალბით მოქმედი ნორვეგიისა და დანიის ან ბელგიისა და ჰოლანდიის ჯარებით, აგრეთვე პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ჯარებით ეს ხელს შეუწყობს ბერლინში იმ მდგომარეობის ნორმალიზაციას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს აფეთქება. ეს საბჭოთა წინადადება, ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში, იმისთვისაც კი არ გამოდგება, რომ „გამოვიყენოთ ბერლინის საკითხზე მოლაპარაკების დამაკმაყოფილებელ საფუძვლად“.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების ესოდენ აჩქარებული და ესოდენ უარყოფითი რეაქციის მიზეზი, როგორც ჩანს, ისაა, რომ ახლავე მისცეს ტონი მთელ ბურეუაზიულ პრესას და არ დაუშვას, რომ პრესამ თუნდაც ოდნავ ობიექტურად გააშუქოს მშვიდობისა და საყოველთაო განიარაღების მოსკოვის მსოფლიო კონგრესის მუშაობა და საბჭოთა კავშირის პოზიცია განიარაღების საკითხში.

ტელეგრამები გვაფყობინებს

△ **ჰავანა,** 11 ივლისი. (საკადესი). კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების სამინისტრო იუწყება, რომ ორი დღის განმავლობაში — 8 და 9 ივლისს — ამერიკის ჯარებმა, რომლებიც გუანტანამოს სამხედრო-საზღვაო ბაზაში იმყოფებიან, 25-ჯერ დაუშინეს ცეცხლი კუბის ტერიტორიას.

△ **ვაშინგტონი,** 11 ივლისი. (საკადესი). დღეს შეერთებულ შტატებმა — ატომურ შობის კუნძულის რაიონში ატმოსფეროში, გააფეთქეს ატომური აფეთქება. თავდაცვის სამინისტრო და ატომური ენერგიის კომისია იუწყებიან, რომ ატომური მოწყობილობა ჩამოაგდეს თვითმფრინავიდან.

ეს — ოცდამეშვიდე აფეთქებაა ატმოსფეროში ატომური გამოცდის ახლანდელ სერიაში, რომელიც შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს ამა წლის 25 აპრილს.

△ **ვაშინგტონი,** 11 ივლისი. (საკადესი). დღეს შეერთებულმა შტატებმა ნევადის შტატის გამოსაცდელ პოლიგონზე განახორციელეს ატომური მოწყობილობის ახალი მიწისქვეშა აფეთქება. ატომური ენერგიის კომისია იტყობინება, რომ აფეთქება მოხდა ძალიან მცირე სიღრმეზე.

△ **ჯაკარტა,** 11 ივლისი. (საკადესი). ინდონეზიელმა პატრიოტებმა გაათავისუფლეს დასავლეთ ირიანის ორი რაიონი. როგორც ადგილობრივი საგენტოები იუწყებიან, ხელისუფლება ამ რაიონში გადაეცა ინდონეზიის რესპუბლიკას ტე მინაბუანის აჯანყებულთა ნაწილების მეთაურის სახით.

მარაუკესთან — დასავლეთ ირიანის მეორე ნაწილში — პატრიოტებმა ბრძოლაში ხელთ იგდეს დიდძალი ხომარი საჭურველი.

საფრანგეთში შეიქმნა ახალი პარტია

პარიზი, 12 ივლისი. (საკადესი). საფრანგეთში შეიქმნა ახალი ბურეუაზიული პარტია — „დემოკრატიული გაერთიანება“. როგორც უნეონ ფრანსეზ დ' ენ ფორმასიონის საგენტო იუწყება, ეს პოლიტიკური დაჯგუფება, რომელმაც უნდა შეცვალოს რადიკალების პარტია, დააარსეს თითონ რადიკალებმა, კერძოდ, პარტიის თავმჯდომარემ მორის ფორმა. „დემოკრატიული გაერთიანების“ შექმნაში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ სენატორმა ფრანსუა მიტერანმა.

ბერლინი — ადგილობრივი ინციდენტი

ბერლინი, 11 ივლისი. (ტასი). ბერლინში, ბრანდენბურგის ჭიშკრის ტერიტორიაზე, ადგილობრივ ინციდენტს ადგილი ჰქონდა. ინციდენტის ორგანიზატორებმა ბერლინელ ბავშვებს ბალიანებზე ბანერებით ასაფრენ ბალიანებს ბანერებზე ეწერა: „ბერლინელ ბავშვებს — ბერლინელ ბავშვებს“. ბალიან